შპს,, მოდილიონი”

MODILIONI

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, მირცხულავას ქუჩა №11ა-ში; (ს/კ 01.13.04.017.411) საცხოვრებელი კომპლექსის ,,ბლოკი - 8,,-ის პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით

შპს “მოდილიონი“-ს დირექტორი: ზ .კაპანაძე

ექსპერტი: დ. ტაბატაძე

თბილისი 2021წ.

28.04.2021 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, მირცხულავას ქუჩა №11ა-ში; (ს/კ 01.13.04.017.411) საცხოვრებელი კომპლექსის ,,ბლოკი - 8,,-ის პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით

დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე შესაფასებელია ქ. თბილისში, მირცხულავას ქ.№11ა-ში, (ს/კ 01.13.04.017.411) ასაშენებელი საცხოვრებელი კომპლექსის ,,ბლოკი - 8,,-ის არქიტექტურულ პროექტში შეტანილი ცვლილებები და ამ ცვლილებების გათვალისწინებით შენობის სიხისტის, სიმტკიცისა და მდგრადობის პირობების შეფასება ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად.

დამკვეთის მიერ საექსპერტიზოდ წარმოდგენილი იქნა შემდეგი მასალები:

1. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ელექტრონული ვერსია, dwg, Pdf და doc ფაილები), რომელიც დამუშავებული იქნა **შპს ,,გეოტექსერვისის,,**-ს ინჟინერ-გეოლოგების მიერ 2020 წელს.
2. ასაშენებელი შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ელექტრონული ვერსია (pln და pdf ფაილები);
3. შპს **"ალფა პროჯექტ ჯორჯია "**-ს თანამშრომლების მიერ დამუშავებული კორექტირებული კონსტრუქციული პროექტი. საძირკვლის კონსტრუქციები, სვეტების, კედლების, დიაფრაგმების, კიბეების და სართულშუა გადახურვების კონსტრუქციათა სამონტაჟო სქემები და მათი კვანძები, აგრეთვე კონსტრუქციების საყალიბე და ბეტონის მზიდი ელემენტების დაარმირებისათვის საჭირო საშემსრულებლო ნახაზები, მათი შემაერთებელი კვანძების გადაწყვეტის ტექნიკური დოკუმენტაცია.
4. შენობის კომპიუტერული კორეტირებული საანგარიშო მოდელის ელექტრონული ვერსია (lir ფაილი).

კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში შეტანილი ცვლილებების აღწერა:

ა. მცირედით დაკორექტირდა ფილის კონტურები აივნების კუთხით.

ბ, დაკორექტირდა ლიფტის შახტის გადახურვის ნიშნულები, იყო +66.90 გახდა +67.68

გ. დაკორექტირდა ფასადის ელემენტები

დ. დაკორექტირდა უნარშეზღუდულთა პანდუსები 0.00 ნიშნულზე.

კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში შეტანილი ცვლილებების მიხედვით შენობის კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები და გაანგარიშებით მიღებული შედეგების შესაბამისად დამუშავებულია კონსტრუქციული მუშა ნახაზები.

დასკვნა:

არქიტექტურულ პროექტში შეტანილი ცვლილებები არსებითად არ ცვლის შენობის მზიდ კონსტრუქციულ სქემას და შეიძლება ჩაითვალოს როგორც უმნიშვნელო ცვლილებები, რომლებიც ფაქტიურად გავლენას არ ახდენს შენობის სიხისტისა და მდგრადობის პირობებზე.

შპს "მოდილიონი"-ს დირექტორი: ზ .კაპანაძე

ექსპერტი: დ. ტაბატაძე